

შ.პ.ს. ჯეოჯგუფი ფინანსური ანგარიშგება 2022 წელი 31 დეკემბრის მდგომარეობით.
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ჯეო ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული.
წლისთვის.

ფულადი ნაკადების 2022 წლის 31 დეკემბრით და სრული წლისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31-12-22წ

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები-----154451

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-----229910

სახვა მოკლევადიანი აქტივები

მარაგები-----1300

სულ მოკლევადიანი აქტივები-----385661

გრძელვადიანი აქტივები-----18934

ძირითადი საშუალებები-----18934

მთლიანი აქტივები-----404595

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები-----143678

მოკლევადიანი სესხი-----293529

მთლიანი ვალდებულებები-----437207

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი-----	200
გაუნაწილებელი მოგება-----	(-32812)
სულ კაპიტალი-----	(-32612)

მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი-----	404595
სულ მოკლევადიანი აქტივები-----	231210
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები-----	437007

დირექტორი: *k.stefania* / კახაბერ სტეფანია/

ბუღალტერი: *l.shvania* /ლუიზა ჟვანია/

შ.პ.ს. ჯეოჯგუფი ფინანსური ანგარიშგება 2022 წელი 31 დეკემბრის მდგომარეობით.
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ამონაგები

მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი-----2683520

სხვა შემოსავალი 1046

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები-----(-127427)

მიწოდების ხარჯები-----(-2647972)

სულ საოპერაციო ხარჯი-----(-2775399)

საოპერაციო მოგება-----(-90833)

სხვა არასაოპერაციო ხარჯი-----(-41506)

საანგარიშო პერიოდის მოგება-----(-132339)

გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი -----99727

საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს-----(-32612)

შ.პ.ს. ჯეოჯგუფი

დირექტორი:

k.stefania

/ კ. სტეფანია/

ბუღალტერი:

l.shvania

/ ლ. ჟვანია/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. ჯეოჯგუფი რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 7 აპრილს.

კომპანიის 90%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი კახაბერ სტეფანია. 10%-იანი წილის მფლობელია ტრანსპორტის მენეჯერი მადლენა ქარდავა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სახმელეთო სატრანსპორტო გადაზიდვები (საერთაშორისო გადაზიდვა).

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.ფოთი ჭყონდიდელის 18/22

მომზადების საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი პრინციპის დაშვებით ანუ დაშვებით. კომპანია განაგრძნობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში სამუშაოდ წარდგენის ვალუტა.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დღის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

სატრანსპორტო საშუალებები : სატვირთო მანქანები. ნახევარმისაბმელები. ოფისის აღჭურვილობა ავეჯი და სხვა ინვენტარი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური

აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები:

მარაგები აღრიცხულია შესყიდული საწვავი თვითღირებულებით.

საწვავის შესყიდვა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. ყოველ მომწოდებელ ორგანიზაციასთან დადებულია ხელსეკრულება.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სატრანსპორტო მომსახურებისა და სხვა ვალდებულებებისაგან.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება ამონაგები მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებას (ტვირთის გადაზიდვას) მიღებულ შემოსავლებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

ფოლადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში-----152700

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში-----1508

უცხოურ ვალუტაში რეზიდენტ ბანკში-----243

სულ ჯამი-----54451

ძირ. საშუალებები	სატრანსპ. საშუალებები	
31 დეკემბერი 2022	18934	18934
31 დეკემბერი 2022	(59683)	(59683)
პერიოდის ამორტიზაცია	(4733)	(4733)
	-	-
ნეტოს საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	18934	18934

მოკლევადიანი სესხები და გადასახდელ პროცენტი

2022

მოკლევადიანი სესხი ვალდებულებები	293529
გადასახდელ პროცენტი	-
სულ	293529

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომელიც დენომირებულია აშშ დოლარში და ლარში., საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომირებულ სესხზე შეადგენს წლიურ 6,10- 7%-ს, ხოლო ლარში დენომირებულ სესხზე წლიური 14,8%-ს. სესხის დაფარვის ვადა მერყეობს 2022 წლის იანვრიდან დეკემბრამდე. სესხებს ახლავს პირობა რომ ბანკს შეუძლოს საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულადან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით შესაბამისად ყველ სესხი კლასიფიცირებულია მოკლევადიან სესხად კომპანიას ბანკის მიერ დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადც საჭირო ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოფიციენტები ბანკის მიერ დადგენილ დონეზე. ყველ საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს მარგებიტად დებიტორული დვალანებით სესხები დმატებით უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილ ურავი ქონებით და წილთსაწარმოში.

დირექტორისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება.

შრომის ანაზღაურებამდელად	103403
სულ	103403

დირექტორი: *k.stefania* კ.სტეფანია

ბუღალტერი: *l.shvania* ლ.შვანია